# ხელშეკრულება №18

ქ. მარნეული 5 ივნისი 2014 წელი

ერთის მხრივ, **შპს „მარნეულის სოფწყალი"-ს** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი ბადრი ქველაძე და მეორეს მხრივ ი/მ მამედ ასკეროვი (შემდგომში – მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1.ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული მოწყობილობებისა და მობილური ტელეფონის შეძენა,

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს **1900 (ათასცხრაას) ლარი.**

3.3 დანართ №1-ში ცვლილებები მოხდება ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

## *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას შესყიდვის ობიექტის უნაკლოობაზე

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება **2014 წლის 5 ივნისიდან 2014 წლის 5 ივლისამდე**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. მარნეული

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის და მიღება-ჩაბარების აქტით.

## *6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულკების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

6.4. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს **10 დღის** ვადაში.

## *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 **წლის 5 ივლისამდე**

## *10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

10.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი **მიღება-ჩაბარების აქტით**, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა შესაძლებელია საბაზრო ღირებულების ცვლასთან დაკავშირებით ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების [illegible]ულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა [illegible]მოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, [illegible]იწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი [illegible]მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

*16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი**

შპს « მარნეულის სოფწყალი »
ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №73
ს/ს « ლიბერთი ბანკი »
მარნეულის განყოფილება
ბანკის კოდი : **ILBRTGE22**
ა/ა **GE62LB0113145242467000**

ს/ნ 434158163

ტელ : 599-99-64-46

**მიმწოდებელი**

ი/მ მამედ ასკეროვი
ქ. მარნეული რუსთაველის ქ . #29
ს/ს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია"
მარნეულის ფილ.

ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა **GE71VT3900000003783602**

ს/ნ 28001034364

ტელ :

**დირექტორი :**

ბ. ქველაძე

**დირექტორი**

მ. . ასკეროვი

2014 წლის 5 ივნისი №18 ხელშეკრულების დანართი №1

ხელშეკრულების ობიექტი

| | დასახელება | კლასიფიკატორის კოდები (CPV) | ზომის ერთ. | რაოდენობა | ერთ. ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოუთბუქი ასუსი ასუს X550LB 1506 I 5 5200, 4 BG, 750 GB,GT740 2GB | 30213100 | ცალი | 1 | 1300 | 1300 |
| 2 | TOUCH 825 8 GB | 30234600 | ცალი | 1 | 20 | 20 |
| 3 | Mobile and Smartphones/Sony/Sony LT25 Xperia VBlack 720x1280 4.3 | 32250000 | ცალი | 1 | 580 | 580 |
| | საერთო ღირებულება 1900 (ათასცხრაასი და 00 თეთრი) ლარი<br>დღგ-ს გათვალისწინებით | | | | | |

,,შემსყიდველი":

შპს „მარნეულის სოფწყალი"

საიდენტიფიკაციო კოდი № 434158163

დირექტორი

_____ ბადრი ქველაძე

"____"_____ 2014 წ.

,,მიმწოდებელი":

ი/მ მამედ ასკეროვი

საიდენტიფიკაციო კოდი 28001034364

დირექტორი

_____ მამედ ასკეროვი

"____"_____ 2014 წ.

# მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. მარნეული

5 ივნისი 2014 წელი

ერთის მხრივ შემსყიდველის წარმომადგენელმა შპს "მარნეულის სოფწყალი"-ს დირექტორი ბ. ქველაზემ ჩავიბარე, ხოლო მეორეს მხრივ მიმწოდებელმმა ი/მ მამედ ასკეროვმა ჩავაბარე ურთიერთშორის 2014 წლის 5 ივნისის №18 ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული შემდეგი საქონელი.

| № | დასახელება | რაოდენობა | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი | ვალუტა | საერთო ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნოუტბუქი/ ასუსტეკ/ასუს X550LB 15.6 I5 420,4GB,750GB, GT740 2GB | 1 | ცალი | 1300 | ლარი | 1300 | ლარი |
| 2 | TOUCH 825 8GB | 1 | ცალი | 20 | ლარი | 20 | ლარი |
| 3 | Mobil and Smartphones/Sony/ Sony LT25 Xperia V Bla 720x1280 4.3 | 1 | ცალი | 580 | ლარი | 580 | ლარი |
| | | | | | | | |
| სულ: | | | | | | 1900 | ლარი |

ჩავიბარე: ბ. ქ

ბ. ქველაძე

ჩავაბარე:

მ. ასკეროვი